

პოლიტიკურ ტექსტებში გამოყენებული პოლისემიური სიტყვების თარგმნის პრობლემა

მარეხ ალთუნაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი უცხო ენების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზია გომელაური, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

მარეხ ალთუნაშვილი

26.06.2017

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია დავადგინოთ, რამდენად ხშირად და რა მიზნით იყენებენ პოლიტიკოსები პოლისემიურ სიტყვებს. გამოვკვეთავთ იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება დარგობრივი ხასიათის ტექსტების მთარგნელი პოლისემიური სიტყვების თარგმნის დროს და დავადგენთ ამ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ძირითად საკვლევ მასალად ავიღეთ 2017 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე რამდენიმე კანდიდატის დისკურსი.

პოლისემიური სიტყვების, სხვადასხვა გამონათქვამების მნიშვნელობების დადგენას შევეცდებით ფრანგულ-ქართული და ფრანგული განმარტებითი ლექსიკონების დახმარებით. დავადგენთ, განსხვავდება თუ არა განმარტებები ამ ლექსიკონებს შორის. კვლევის საფუძველზე დავადგენთ, რამდენად საკმარისია ლექსიკონში მოცემული განმარტებები პოლისემიური სიტყვების თარგმანისათვის, როგორია ექსტრალინგვისტური ფაქტორებისა და კონტექსტის როლი პოლისემიური სიტყვების გაგებასა და თარგმანში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლისემია, ომონიმია, კონტექსტი, პოლიტიკური დისკურსი, პრაგმატიკა, გამონათქვამი, ლექსიკონი.

Abstract

The aim of the study is to determine how frequently politicians use polysemic words. We will examine the challenges faced by the translator of specific texts translating polysemic words and determine ways to solve these problems.

The main research material is the discourse of several candidates participating in the French presidential election in 2017.

We will try to determine the meanings of polysemic words and other expressions with the help of French-Georgian and French explanatory dictionaries. We will examine if there are differences between these dictionaries. We will see if dictionary meanings are enough for translation of polysemic words and what is the role of extralinguistic factors and contexts in understanding and translating the polysemic words.

Key words: Polysemy, homonymy, context, political discourse, pragmatic, enunciation, dictionary.